

შპს „ბიდი პლიუსი“
ს/ნ 400177615
მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
ტელ: (+995) 32 267-49-44



BD Plus LTD
I/N: 400177615
Address: №8 D.Jabidze street,
Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 267-49-44

ძირითადი საქმიანობა

შპს „ბიდი პლიუსი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2016 წლის 7 ივნისს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონის ნაძალადევის რაიონი დავით ჯაბიძის №8. კომპანიის დამფუძნებლებია შპს ბას გრუპი 26% და გიორგი თვალაძე 74%.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ქიმიით და ჰიგიენური საშუალებებით ვაჭრობა.

დანართი N1 და დანართი N2-ში მოცემულია 2020 წლის ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის არა აუდიტირებული ანგარშგება.

გამოყენებული სააღრიცხო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები


ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	31.12.2019	31.12.2020
ლარი საბანკო ანგარიშებზე	55 588	146 184
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	1 198	12 466
ნაღდი ფული სალაროში	12 094	4 165
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	12 094	4 165
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	68 879	162 815

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	2 165 775	3 425 252
სულ მიმდინარე მოთხოვნები	2 165 775	3 425 252



სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო საკონელი	1 003 530	1 696 181
სარეკლამო მასალები	2 260	18 553
საწვავი	5 233	7 213
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1 011 023	1 721 947

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

• ოფისის აღჭურვილობა	10-20
• კომპიუტერული ტექნიკა	10-20
• სატრანსპორტო საშუალებები	10-20
• ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10



საწყისი ღირებულება	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები
ბალანსი 31/12/2018	7 781	31 940	91 267	100 736	10 967
დანამატები	191	819	27 127	-	-
აქტივების ჩამოწერა	-	(1 456)	(1 557)	(10 239)	-
ცვეთა პერიოდისათვის	(2 490)	(8 545)	(27 616)	(32 700)	(3 754)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	596	-	4 595	-
ბალანსი 31/12/2019	5 482	23 355	89 222	62 391	7 213
დანამატები	3 431	8 071	61 177	20 070	8 338
აქტივების ჩამოწერა	-	(1 653)	(843)	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	(2 558)	(9 871)	(34 636)	(31 668)	(5 075)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	907	-	-	-
ბალანსი 31/12/2020	6 355	20 809	114 920	50 793	10 476
ბალანსი 31/12/2019	5 482	23 355	89 222	62 391	7 213
ბალანსი 31/12/2020	6 355	20 809	114 920	50 793	10 476

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

- ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
- ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკური საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

საგაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

საგაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ



აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახადები.

	31.12.2019	31.12.2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	592 374	1 334 826
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	-	-
გადასახდელი ხელფასები	68 011	71 081
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	6 250	6 970
სულ მიმდინარე ვალდებულებები	666 635	1 412 878

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდი მიკუთვნებულია იმ საანგარიშო პერიოდს რომელ პერიოდშიც მოხდა მისი განაწილება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშშეატურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია დეკლარაციები შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი

შპს „ბიდი პლიუსი“
ს/ნ 400177615
მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
ტელ: (+995) 32 267-49-44



BD Plus LTD
I/N: 400177615
Address: №8 D.Jabidze street,
Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 267-49-44

იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს,

	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	12 601 888	18 586 946
ფასდათმობა	(178 403)	(168 838)
გაყიდული მარაგის თვითღირებულება	(8 402 042)	(11 193 538)
სულ წმინდა შემოსავალი	4 021 444	7 224 570

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის საწარმოოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

	31.12.2019	31.12.2020
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	1 075 478	2 200 990
რეკლამის ხარჯი	47 179	33 762
საწვავის ხარჯი	248 611	229 531
სამეურნეო ხარჯი	1 188	9 363
კომუნიკაციის ხარჯი	7 468	7 167
საკანცელარიო ხარჯი	4 983	5 842
დაზღვევის ხარჯი	14 834	14 841
საკონსულტაციო ხარჯი	10 170	15 254
საბანკო ხარჯი	11 696	14 529
მივლინების ხარჯი	16 932	5 753
ავტომობილის შენახვის ხარჯი	24 534	27 279
საგადასახადო ხარჯი (ჩაუთვლელი დღგ-ს პროპორცია)	121 746	175 086
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	90 513	185 525
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	1 675 333	2 924 921

შპს „ბიდი პლიუსი“
ს/ნ 400177615
მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
ტელ: (+995) 32 267-49-44



BD Plus LTD
I/N: 400177615
Address: №8 D.Jabidze street,
Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 267-49-44

დანართი N 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები		187 662	203 352
არამატერიალური აქტივები		11 482	8 242
სულ გრძელვადიან აქტივები		199 144	211 594
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1 011 023	1 722 227
სხვა მიმდინარე მოთხოვნები		47 952	10 065
სავაჭრო მოთხოვნები		2 165 775	3 425 253
გადახდილი გადასახადები		15 306	200 756
ფული და ფულის ექვივალენტები		68 879	162 815
სულ მიმდინარე აქტივები		3 308 935	5 521 125
სულ აქტივები		3 508 080	5 732 719
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1 006 766	3 265 222
სულ კაპიტალი		1 006 766	3 265 222
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	1 711 994	983 604
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1 711 994	983 604
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	592 374	1 334 826
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	74 261	78 331
გადასახდელი გადასახადები	10	-	-
გადასახდელი პროცენტები		122 685	70 736
სულ მიმდინარე ვალდებულებები		789 320	1 483 894
სულ ვალდებულებები		2 501 314	2 467 498
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3 508 080	5 732 719

შპს „ბიდი პლიუსი“
 ს/ნ 400177615
 მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
 ტელ: (+995) 32 267-49-44



BD Plus LTD
 I/N: 400177615
 Address: №8 D.Jabidze street,
 Tbilisi, Georgia
 Tel: (+995) 32 267-49-44

დანართი N 2

სრული შემოსავლის ანგარშგება

	2019	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან თვითღირებულება	12 423 486 (8 402 042)	18 418 108 (11 193 538)
მთლიანი მოგება	4 021 444	7 224 570
ადმინისტრაციული ხარჯი	(1 675 333)	(2 924 995)
ხელფასის ხარჯი	(1 546 912)	(2 034 067)
ცვეთის ხარჯი	(78 089)	(87 049)
იჯარის ხარჯი	(122 822)	(128 972)
საოპერაციო მოგება	598 288	2 049 486
არასაოპერაციო შემოსავალი	345 864	597 503
არასაოპერაციო ხარჯი		(32 795)
საპროცენტო ხარჯი	(178 298)	(167 954)
მოგება-ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(88 346)	(135 141)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	79 221	261 613
მოგება დაზერგვამდე	677 508	2 311 099
მოგების გადასახადი	(5 330)	(10 644)
წმინდა მოგება	672 178	2 300 456
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ სრული შემოსავალი	672 178	2 300 456

შპს „ბიდი პლიუსი“
ს/ნ 400177615
მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
ტელ: (+995) 32 267-49-44



BD Plus LTD
I/N: 400177615
Address: №8 D.Jabidze street,
Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 267-49-44

	2019	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	672 178	2 300 456
კორექტირება:		
ცვეთის ხარჯი	78 089	87 049
საკუროს სხვაობით მიღებული შედეგები	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	750 267	2 387 505
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(660 816)	(1 259 479)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(213 941)	(711 204)
ცვლილებები სხვა მიმდინარე მოთხოვნებში	(12 237)	37 878
ცვლილებები გადასახადებში	(22 611)	(185 449)
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	17 444	(51 949)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	145 963	746 523
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4 069	963 824
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(23 060)	(102 739)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	1 461	3 240
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(21 599)	(99 499)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი გრძელვადიანი ნასესხები ფულადი სახსრებიდან	56 791	(728 390)
განაწილებული დივიდენდი	(20 000)	(42 000)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	36 791	(770 390)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკუროს სხვაობის ეფექტი	-	-
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	19 262	93 936
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	49 617	68 879
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	68 879	162 815

დირექტორი

არჩილ ქოქაშვილი

30.09.2021

